ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №57

ქ. ბათუმი **16 ივლისი , 2020 წ.**

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“, ს/კ 445532308, იურ. მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, ფაქტ. მის.: ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №90ა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის სულხან ევგენიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „მიონი დეველოპმენტი“ ს/კ 202461335, მის.: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. №8, წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით არჩვაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“)

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მისი გათვალისწინებით შეთანხმდნენ შემდეგზე:

შემსყიდველმა ჩაატარა ქ. ბათუმში ორკომპონენტიანი ცივი პლასტის საღებავით ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნის სამუშაოები (ავტობუსების სავალი ხაზის დახაზვა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მთავარი კორიდორის ჭავჭავაძე-ბარათაშვილი-გორგილაძის ქუჩების გასწვრივ) და ერთკომპონენტიანი აკრილის საღებავის დემარკირების (წაშლა) სამუშაოების შესყიდვის ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე) **(NAT200008133)** **(CPV45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები; 45233221 - გზების დახაზვა)** და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება სამუშაოს შესრულებაზე შემდეგ თანხაზე: **621687,50** (ექვსას ოცდაერთიათას ექვსასოთხმოცდა შვიდი ლარი და 50 თეთრი) (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:
   ა) წინამდებარე ხელშეკრულება;
   ბ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;
   გ) ტექნიკური პირობები;
   დ) ფასების ცხრილი;
   ე) ნახაზები და სპეციფიკაციები;
   ვ) საბანკო გარანტია;

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო პროცესში ჩართული საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებით არანაკლებ 70%-ის ოდენობით.

6. სამუშაოების შესრულების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2021 წლის 15 იანვრის ჩათვლით.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“ ს/კ: 445532308 იურ. მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25 ფაქტ. მის.: ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №90ª „სახელმწიფო ხაზინა“ ბ/კ TRESGE22 ანგ.: №GE24NB0330100200165022 GEL ელ. ფოსტა: ketilmotskoba@batumi.ge დირექტორი: სულხან ევგენიძე	შპს „მიონი დეველოპმენტი“, ს/კ 202461335, მის.: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. №8 მომსახურე ბანკი: სს“ საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის ნომერი: GE37BG0000000607845600 GEL ელ. ფოსტა: archvadzedato@gmail.com დირექტორი: დავით არჩვაძე
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

Municipal Infrastructure and Improvement Division

Digitally signed by Municipal Infrastructure and Improvement Division
Date: 2020.07.16 18:51:08 +04'00'

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

შემსყიდველი: ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“, ს/კ 445532308;

მიმწოდებელი:

2. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

2.1. შემსყიდველი მისი წარმომადგენლის მეშვეობით ახდენს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას;

2.2. მიმწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ;

2.3. მიმწოდებელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჩატარებას აუცილებელი პერსონალით და ტექნიკური საშუალებებით;

2.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

2.5. შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გააჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სანქციები;

2.6. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების შესრულების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიმწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები;

2.7. **<u>ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლს, შესრულებული სამუშაოების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას და ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს თენგიზ კორძაძე.</u>** შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ დროს ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებლებრივი აქტით მიანიჭოს ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ სხვა თანამშრომელს ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერ სხვა პირს. შემსყიდველის ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს მიმწოდებლის არც წინასწარ და არც შემდგომ თანხმობას და იგი ძალაში შედის შესაბამ-ის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

2.8. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლის, შესრულებული სამუშაოების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება–ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილების 2.7. პუნქტის შესაბამისად შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირზე მინიჭების შემდეგ ასეთი უფლებამოსილების მინიჭებამდე შესრულებული სამუშაოების კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების შედეგები და გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაოები, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

3.2. მხარეები ყოველთვიურად განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.

3.3. შემსყიდველი ვალდებულია აანაზღაუროს ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

4. დაზღვევა

მიმწოდებელი ვალდებულია დააზღვიოს: მუშა-მოსამსახურე პერსონალი უბედური შემთხვევისაგან და მესამე პირთა მიმართ სამოქალაქო პასუხისმგებლობა.

5. თანმდევი მომსახურება

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა დანადგარებისაგან და სხვადასხვა ნარჩენებისაგან.

5.2. სამუშაობის პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება გაწეული სამუშაოების შესრულების ადგილზე.

6.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.4. ხელშეკრულების მიმწოდებლის ბრალით შეწყვეტის შემთხვევაში, მიღება-ჩაბარებას არ ექვემდებარება სამუშაო, რომელიც განმეორებითაა შესასრულებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გაგრძელების შემთხვევაში ან რომელიც არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან/და საყოველთაოდ აღიარებულ ხარისხს (პირობებს). მტკიცების ტვირთი, რომ შესრულებული სამუშაო ექვემდებარება მიღება-ჩაბარებას, ეკისრება მიმწოდებელს.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

7.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ექსპერტიზის დასკვნის, საგზაო მონიშვნის რეტრორეფლექტურობის (RL მაჩვენებლების), გადახდის სერთიფიკატის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7.3 თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა გამარჯვებულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ სამუშაოთა მოცულობების ღირებულების ანაზღაურებაზე;

7.4. მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების ყოველთვიური გადახდის სავარაუდო გრაფიკი.

7.5. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

8. სამუშაოს შესრულებისა ვადა:

8.1. უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით.

9. გარანტია-დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი.

9.1. საგარანტიო ვადა განისაზღვრება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ: 36 (ოცდათექვსმეტი)თვე;

9.2. შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადას წარმოადგენს პერიოდი, რომლის განმავლობაში საგზაო მონიშვნა ინარჩუნებს ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ შესაბამის შუქარეკვლის მინიმალურ მაჩვენებელზე 25%-ზე ნაკლებ მაჩვენებელს (მაგ: თუ თეთრი ფერის საღებავზე შუქარეკვლა უნდა იყოს მინიმუმ 200, საგარანტიო ვადის დასრულებამდე მისი რეტრორეფლექცია არ უნდა იყოს 150-ზე ნაკლები), ხოლო მისი დაზიანება და/ან ცვეთა შეადგენს:

- 2 მმ და მეტი სისქის მონიშვნასთან მიმართებაში არაუმეტეს 30%-ს; (ГОСТ Р 51256-2018 სტანდარტის მოთხოვნა);

9.3. შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, მომწოდებელმა უნდა წარმოადგინოს მუშა მდგომარეობაში მყოფი რეტრორეფლექციის საზომი მოწყობილობა, რომლის საშუალებით შემსყიდველის წარმომადგენელთან ერთად გადაამოწმოს(შეამოწმოს) შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა (განხორცილებული საგზაო მონიშვნის რეტრორეფლექტურობა) ტენდერით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;

9.4. შესასრულებული სამუშაოების დასრულების შემდეგ, საგარანტიო ვადის განმავლობაში, რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხოდ ან/და არაჯეროვანად შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

9.5. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში მოახდინოს გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრა ისე, რომ შესრულებული სამუშაოები სრულ შესაბამისობაში იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების (დარჩენილი) შესაბამისი ღირებულების **0,5%-ის** ოდენობით;

10.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების **5%-ის** ოდენობით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

11.5. ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმება, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, შეიძლება მხარეების მიერ ხელმოწერილი იქნას ცალცალკე და ხელშეკრულების მეორე მხარეს ხელმოსაწერად გაეგზავნოს ფოსტის მეშვეობით.ასეთ დროს ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმებაში უნდა მიეთითოს თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის თარიღი და უნდა ითვალისწინებდეს ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღს, მაგრამ არაუადრეს შეთანხმებაზე პირველი ხელმოწერის შესრულების თარიღისა. აღნიშნული პირობების დარღვევის შემთხვევაში შეთანხმება ძალაში შედის მასზე ბოლო ხელმოწერის შესრულების დღიდან;

11.6. ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმება მხარეების მიერ შეიძლება ხელმოწერილი იქნას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ხელმოწერილი შეთანხმების ერთი პირი გაეგზავნოს ხელშეკრულების მხარეს. ასეთ დროს სავალდებულოა, რომ ხელშეკრულების თითოეული მხარის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების ტექსტი იყოს იდენტური და იგი შედგენილი იყოს ორმხვრივი შეთანხმებისათვის დადგენილი ფორმით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თითოეული მხარის მიერ ხელმოწერილი ტექსტი უნდა შეიცავდეს მხოლოდ ხელმომწერი მხარის ხელმოწერის პუნქტს იურიდიული მისამართისა და საბანკო რეკვიზიტების მითითებით. ასეთ დროს ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმებაში უნდა მიეთითოს თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის თარიღი და უნდა ითვალისწინებდეს ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღს, მაგრამ არაუადრეს შეთანხმებაზე პირველი ხელმოწერის შესრულების თარიღისა. აღნიშნული პირობების დარღვევის შემთხვევაში შეთანხმება ძალაში შედის მასზე ბოლო ხელმოწერის შესრულების დღიდან;

11.7. ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე ორმხვრივ შეთანხმებას უთანაბრდება მხარეთა მიერ ერთმანეთისადმი გაგზავნილი წერილობითი

დოკუმენტები, როცა ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ გამოვლენილი ნება მიღებული იქნება ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ და საპასუხო წერილობითი დოკუმენტით პირდაპირ აცნობებს მისი თხოვის დაკმაყოფილების თაობაზე. ასეთი წერილობითი დოკუმენტი პირდაპირ უნდა შეიცავდეს, ხელშეკრულების რომელი პირობა იცვლება და როგორია ხელშეკრულების შეცვლილი პირობა ან/და ხელშეკრულებას რა შინაარსის პირობა დაემატა. წინამდებარე პუნქტის შესაბამისად ხელმოწერილ წერილობით დოკუმენტს ორმხვრივი შეთანხმების თანაბარი იურიდიული ძალა აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებზე ხელმოწერის უფლების მქონე პირი;

11.8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით ხელშეკრულების ვადის (ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის) გაგრძელების საკითხის განხილვისას, თუ მიმწოდებელი სამუშაოების შესრულებას ახორციელებდა ხელშეკრულების დანართი გრაფიკის შესაბამისად, თუნდაც რომ გრაფიკით დადგენილ ვადაში სამუშაოს შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ იყოს პირგასამტეხლო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების თანდართული გრაფიკით დადგენილ ვადაში სამუშაოთა შესრულების მდგომარეობა, რა დროსაც, თუ დადასტურდა, რომ ხელშეკრულების (ვალდებულების შესრულების) საბოლოო ვადის დარღვევა განაპირობა ხელშეკრულების თანდართული გრაფიკით დადგენილ ვადაში სამუშაოთა ბრალეულმა შეუსრულებლობამ, დაუშვებელია ხელშეკრულების (ვალდებულების შესრულების) საბოლოო ვადის გაგრძელება.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით;

12.3. ხელშეკრულების მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევა არ ჩაითვლება ბრალეულ დარღვევად, თუ აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით განსახორციელებელი ქმედება სავალდებულოდ საჭიროებს რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემას, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანო არ ახდენს აღნიშნულზე ხელშეკრულების მხარის მოთხოვნის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხილვას ან უსაფუძვლოდ უარს ეტყვის ხელშეკრულების მხარეს ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემაზე;

12.4. 16.3. პუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განუხილველობა ან ხელშეკრულების მხარისათვის ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემაზე უარის უსაფუძვლობა დადასტურებული უნდა იყოს ზემდომი ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს აქტით;

12.5. წინამდებარე პუნქტი არ მოიცავს ფორსმაჟორულ გარემოებებს და მათი რეგულირება ხდება სხვა პუნქტით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა:

13.1. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

13.1.1. მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით. დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა შემსყიდველის თანხმობის გარეშე, გარდა ამ პუნქტის 13.1.4. ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა;

13.1.2. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შედეგად ამ პუნქტის 13.1.3. და 13.1.4. პუნქტების შესაბამისად;

13.1.3. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად ვადამდე შეიძლება მოიშალოს (შეწყდეს):

13.1.3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებისათვის დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში;

13.1.3.2. თუკი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა;

13.1.3.3. მიმწოდებელი შემსყიდველის გაფრთხილების მიუხედავად მისთვის გადაცემულ ქონებას ან/და ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას თვითმმართველ ქ. ბათუმის საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ სხვა ქონებას მნიშვნელოვნად აზიანებს ან უქმნის ასეთი დაზიანების რეალურ საშიშროებას;

13.1.3.4. მიმწოდებლის მიერ გაფრთხილების მიუხედავად ხელშეკრულების იმავე პირობების განმეორებით ან/და სხვა პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში;

13.1.3.5. ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე აშკარა ხდება, რომ მიმწოდებელი დადგენილ ვადაში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის (შეწყვეტის) საფუძვლები, ხოლო შემსყიდველმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას;

13.1.3.6. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

13.1.3.7. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუ-კიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

13.1.3.8. თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

13.1.3.9. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

13.1.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულება ცალმხვივად ვადამდე შეიძლება მოიშალოს (შეწყდეს):

13.1.4.1. არ მოხდა შემსყიდველის მიერ იმ ობიექტის დროულად გამოთავისუფლება და მიმწოდებლისათვის ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით გადაცემა, სადაც ან რომელზეც უნდა განხორციელდეს სამუშაოს შესრულება, თუ აღნიშნული მდგომარეობა გაგრძელდა ოთხ თვეზე მეტ ხანს;

13.1.4.2. თუ მიმწოდებლისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

13.1.4.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

13.2. ხელშეკრულება წყდება ნაკისრი ვალდებულების შესრულების გამო;

13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

13.4. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხვრივად მოშლა (შეწყვეტა) დასტურდება შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამათლებრივი აქტით;

13.5. მიმწოდებლის მიერ აღნაგობის ხელშეკრულების ცალმხვრივად მოშლა (შეწყვეტა) დასტურდება განცხადების საფუძველზე, რომელზეც მიმწოდებლის მხრიდან უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერა დადასტურებული უნდა იყოს სანოტარო წესით და რომელიც

პირდაპირ უნდა შეიცავდეს მიმწოდებლის მიერ გამოვლენილ ნებას, რომ იგი ცალმხვრივად შლის (წყვეტს) ხელშეკრულებას;

13.6. ხელშეკრულების შემსყიდველის ბრალით მოშლის (შეწყვეტის) შემთხვევაში ხდება შესრულებული სამუშაოს სრულად ანაზღაურება.

14. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი) და დაუძლეველი ძალის გარემოება:

14.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი და/ან დაგვიანებით შესრულების გამო პასუხისმგებლობისაგან, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებებით, რაც ასევე არ გამოიწვევს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას;

14.2. ამ პუნქტის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალის გარემეობა“ ნიშნავს მხარეთა ნებისა და კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია მიუხედავად მხარეთა გონივრული მცდელობებისა და რომელთაც მიეკუთვნება, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით:

ა) ომი, სამხედრო მოქმედება, რეკვიზიცია, ბლოკადა, მობილიზაცია, ემბარგო;

ბ) აჯანყება, რევოლუცია, სამხედრო ან უკანონო ქმედება ან სამოქალაქო ომი;

გ) ამბოხი ან საბოტაჟი;

დ) საზოგადოების მტრების ან ტერორისტების მოქმედებები;

ე) სტიქიური უბედურებები (ქარიშხლი, ქარბორბალა, წყალდიბობა და სხვა), ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება

ვ) სხვა გარემოებები, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებულია ფორს–მაჟორულ გარემოებად ან/და რომელიც ასეთად იქნება აღიარებული ხელისუფლების ორგანოების მიერ.

14.3. დაუძლეველი ძალის გარემოების გამო მხარეები პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან მხოლოდ იმ დროთა და მოცულობით, რაც აუცილებელია დაუძლეველი ძალის სიტუაციით გამოწვეული პრობლემების მოგარებისათვის. დაუძლეველი ძალის გარემოების მოქმედების დროს მხარემ, რომელზეც იმოქედებს ასეთი გარემოება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოების შესახებ და მიაწოდოს ასეთი გარემოების დამამტკიცებელი სათანადო საბუთი და მისი ხანგრძლივობის სავარაუდო ვადა და შედეგები და ორივე მხარემ უნდა მიიღონ ყველა ზომა იმისათვის, რომ შეამცირონ მეორე მხარისადმი ზარალის ოდენობა, რომელიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებით;

14.4. თუ დაუძლეველი ძალის გარემოებები გაგარძელდა 2 (ორი) თვეზე მეტი ხნის ვადით, ხელშეკრულების თითოეული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა (მოშლა);

14.5. იმ შემთხვევაში, თუ ფორს–მაჟორული გარემოებების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შეცვლაზე, მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. ამასთან, ხელშეკრულების პირობების შეცვლა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ დროთა და მოცულობით, რაც აუცილებელია დაუძლეველი ძალის სიტუაციით გამოწვეული პრობლემების მოგვარებისათვის;

14.6. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის არცერთ შემთხვევაში ფორს–მაჟორულ გარემოებას არ წარმოადგენს მხარეთა ფინანსური სიძნელეები, საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, ასევე სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან ურთიერთობის გამო დამდგარი შედეგები და კლიმატური პირობები, გარდა სტიქიური უბედურებებისა, რამაც მთლიანად ან ნაწილობრივ გაანადგურა ხელშეკრულების პირობების (ხარისხის) შესაბამისად შესრულებული სამუშოა ან შეუძლებელი გახადა მისი შესრულება;

14.7. მიმწოდებელი თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი და/ან დაგვიანებით შესრულების გამო პას-

უხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაშიც, როცა მას შესრულება უნდა მიეღო მესამე პირისაგან და ასეთი ვერ მიიღო, თუ მესამე პირმა მიმწოდებელის წინაშე ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა ფორსმაჟორული გარემოებების გამო.

15. სუბკონტრაქტორები

15.1. მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში სუბკონტრაქტორის აყვანის შესახებ. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს სუბკონტრაქტორს თავისი უფლებები და მოვალეობები, შემსყიდველის თანხმობის გარეშე;

15.2. სუბკონტრაქტორი არ უნდა იყოს რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში – ე.წ. „შავი სია“;

15.3. შემსყიდველის თანხმობის გარეშე სუბკონტაქტორის აყვანის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია კონტრაქტორ კომპანიას შეუწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს ჯარიმის სახით პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის 1%-ის ოდენობით. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული საჯარიმო სანქცია გავრცელდება მთელი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში (შესრულებული სამუშაოს მიღება -ჩაბარებიდან 2 წელი);

15.4. სუბკონტრაქტორზე წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება
საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი
პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
ხელმძღვანელის სახელი, გვარი
რეტენდენტის ტელეფონის ნომერი: ტელ.: ; ფაქსი.: ;მობ.: ;
ელექტრონული მისამართი, E-mail:
ბანკის დასახელება
ბანკის კოდი
ანგარიშსწორების ანგარიში
ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასახელება და ღირებულება
ხელშეკრულების ასლი მიმწოდებელსა და სუბკონტრაქტორს შორის.

15.5. სუბკონტრაქტორს უკანასკნელი წლების განმავლობაში (2017 – 2020 წწ.) შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოები მიმდინარე სახელშეკრულებო ღირებულების არანაკლებ 40%-სა.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

16.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს;

16.3. სასამართლოში სადაო საკითხის განხილვისას გამოიყენება სართველოს კანონმდებლობა;

16.4. რადგან ხელშეკრულების შესრულების ადგილს წარმოადგენს ქ. ბათუმი, სადაო საკითხის განხილვის მოთხოვნით მიმართვა ხდება ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ ადგილსამყოფელის მიხედვით არსებული სასამართლოსადმი.

17. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და - ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

19. შეტყობინებები:

19.1. შეტყობინების წესი:

შეტყობინება ხელმოწერილი უნდა იყოს გამგზავნი მხარის მიერ ან მისი სახელით, გაეგზავნოს მხარეს, რომელიც არის მისი ადრესატი და მიეწოდოს ამ მხარეს მისამართზე, რომელიც მითითებულია 19.2 პუნქტში, ან უკანასკნელ მისამართზე, რომელიც მხარემ შეტყობინების მეშვეობით განსაზღვრა შეტყობინებებისთვის წინამდებარე ხელშკრულების შესაბამისად. მხარისთვის გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება უნდა იყოს ქართულ ენაზე ან თან ახლავდეს ქართული თარგმანი;

19.2. შეტყობინების მისამართი და შეტყობინების დრო:

შეტყობინება უნდა გადაეცეს ხელიდან ხელში ან გაიგზავნოს ფოსტის მეშვეობ-ით, და წინამდებარე ხელშეკრულების და ყველა სხვა მიზნისთვის იგი ჩაითვლება მიწოდებულად:

(ა) ხელიდან ხელში გადაცემისას: როდესაც ის პირადად მიეწოდება მხარეს ქვემოთ მოცემულ მისამართზე ან უკანასკნელ მისამართზე, რომელიც მხარემ შეტყობინების მეშვეობით განსაზღვრა შეტყობინებებისთვის წინამდებარე ხელშკრულების შესაბამისად.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“ ფაქტ. მის.: ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №90ა იურ. მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25	შპს მიონი დეველოპმენტი მის.: ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. №8

(ბ) კურიერული ფოსტა: თუ გაიგზავნა ფოსტის მეშვეობით 19.2. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტ-ით განსაზღვრულ მისამართზე, რაც დასტურდება კურიერის მიწოდების დასტურის ჩანაწერებში;

შეტყობინებები, რომლებიც მიღებულია უქმე დღეს ან სამუშაო დღის 17.00 საათის შემდეგ ჩაითვლებიან მიღებულად შემდეგ სამუშაო დღეს.

20. სხვა პირობები:

20.1. მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება შეესაბამება მათ მიერ გამოვლენილ ნებას და ნების გამოვლენისას მათზე რაიმე სახის ძალდატანებას ადგილი არ ჰქონია. ასევე ადასტურებენ, რომ ისინი უფლებამოსილნი არიან ხელი მოაწერონ წინამდებარე ხელშეკრულებას სწორედ აღნიშნული შინაარსით;

20.2. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და ყოველი ეგზემპლარის თითოეული გვერდი დამოწმებულია ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოს“ ბეჭდით. თითოეულ ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა;

20.3. სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

ფასების ცხრილი 1

№	დასახელება	განზომილების ერთეული, რაოდენობა		ერთეულის ფასი (დღგ-ს გარეშე)	საერთო ფასი (დღგ-ს გარეშე)
1	2	3	4	5	6
1	ქ. ბათუმში ორკომპონენტიანი ცივი პლასტის საღებავით ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნის სამუშაოები (ავტობუსების სავალი ხაზის დახაზვა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მთავარი კორიდორის ჭავჭავაძე-ბარათაშვილი-გორგილაძის ქუჩების გასწვრივ)	კვ.მ.	5909,31	90	531837,90
	ჯამი:				**531837,90**

შენიშვნა: ორკომპონენტიანი ცივი პლასტის საღებავით ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნის სამუშაოების ღირებულება განფასებულია დღგ-ს გარეშე.
ყვითელი ფერი 1093,63 კვ.მ თეთრი ფერი 4815,68 კვმ.

ფასების ცხრილი 2

№	დასახელება	განზომილების ერთეული, რაოდენობა		ერთეულის ფასი (დღგ-ს ჩათვლით)	საერთო ფასი (დღგ-ს ჩათვლით)
1	2	3	4	5	6
1	ერთკომპონენტიანი აკრილის საღებავის დემარკირების (წაშლა) სამუშაოები	კვ.მ.	3000	29,95	89850
	ჯამი:				**89850**

შენიშვნა: ერთკომპონენტიანი აკრილის საღებავის დემარკირების სამუშაოები განფასებულია დღგ-ს ჩათვლით.

ტექნიკური დავალება

1. **შესყიდვის ობიექტის მოცულობა:**

ქალაქის ქუჩებში ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის მოწესრიგების მიზნით, ქუჩის სავალ ნაწილზე საგზაო მონიშვნების დატანა ორკომპონენტიანი ცივი პლასტიკის საღებავით (მათ შორის იმ ადგილებზე, სადაც მონიშვნის ტექნოლოგიური განხორციელების სქემა გულისხმობს საღებავის დატანას არსებული ძველი საღებავის მოცილების შემდეგ):

ა) ძველი დარჩენილი საღებავის სავალი ნაწილიდან მოცილების მოცულობა -3000 კვ.მ ბ) დახაზვის საერთო მოცულობა - 5909.31 კვ.მ

2. **ტექნიკური პირობები:**

ა) არსებული საგზაო მონიშვნის გაწმენდა და დამუშავება

საგზაო მონიშვნის დატანამდე, ასფალტობეტონის საფარის იმ მონაკვეთზე, რომელზეც უნდა განხორციელდეს საგზაო მონიშვნა, გაწმენდა და დამუშავება უნდა განხორციელდეს სპეციალური მანქანების და/ან დანადგარების გამოყენებით, კერძოდ: თავდაპირველად საფარის გაწმენდა უნდა განხორციელდეს სპეციალური მანქანით ან დანადგარით უხეში მბრუნავი ჯაგრისითა და ჭუჭყის შემაგროვებელი ბუნკერით. ამის შემდეგ საფარის გაწმენდა უნდა განხორციელდეს მაღალი წნევის წყალის გამაფრქვეველი სპეციალური მანქანით ან დანადგარით, რითაც მოხდება საფარის მორეცხვა საჭიროების შემთხვევაში. ძველი საღებავის მოშორება/წაშლა უნდა განხორციელდეს სპეციალური ტექნიკით ისე, რომ არ მოხდეს გზის საფარის დაზიანება. მხოლოდ აღნიშნული პროცედურების ჩატარების შემდეგ უნდა მოხდეს ორკომპონენტიანი ცივი პლასტიკის საღებავის დატანა შესაბამისი ტექნოლოგიური სქემით. ორკომპონენტიანი ცივი პლასტიკით მონიშვნისას ტექნოლოგიური სქემა გულისხმობს სამ ძირითად მომენტს:

1) საფუძვლის მომზადება და შემოწმება (გაწმენდა-გასუფთავება, გრუნტის წასმა აუცილებლობის შემთხვევაში, პრემარკირება)

2) საღებავის მწარმოებლის მიერ განსაზღვრული ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით საღებავის და გამამყარებლის შესაბამისი პროპორციით შერევა,

3) საღებავის მწარმოებლის მიხედვით განსაზღვრულ გარემო პირობების (ტემპერატურა, ჰაერის ნარჩენი ტენიანობა) გათვალისწინებით მონიშვნის განხორციელება.

სამუშაოების შესრულების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს მონიშვნის მომენტისათვის არსებული გარემო პირობები, კერძოდ, დაუშვებელია მონიშვნის დატანა და ხაზვა წვიმის დროს და ასევე წვიმის შემდგომ პერიოდში, სანამ სრულად არ გაშრება ნაწვიმარი მონაკვეთები. ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ჰაერის ფარდობითი ტენიანობის მაჩვენებელიც - თუ ჰაერის ფარდობითი ტენიანობა აღემატება 75%-ს, მაშინ სამუშაოების წარმოება დაუშვებელია.

ბ) მოსანიშნია:

ავტობუსების სავალი ნაწილის და გაჩერების ადგილები, ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელები (ე.წ. „ზებრა“), ღერძულა, წყვეტილი, სარეზერვო, სასაზღვრო, გამყოფის, სდექ ხაზები, მიმმართველი ისრები და სხვა სახის საგზაო მონიშვნები, მათ შორის სხვადასხვა სახის საგზაო ჰორიზონტალური ნიშნის აღნიშვნები თანდართული ნახაზის და სავალი ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნის პასპორტის მიხედვით.

გ) საგზაო მონიშვნის ფერი, ფორმა და ზომები:

საგზაო მონიშვნის ფერი, ფორმა და ზომები უნდა შეესაბამებოდეს ГОСТ Р 51256-2018 „საგზაო მონიშვნის“ მოთხოვნებს: საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები. საგზაო მონიშვნები, ტიპები და ძირითადი პარამეტრები. ზოგადი ტექნიკური მოთხოვნები;

დ) საგზაო მონიშვნის ტიპები და ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები:

დ.ა.) მონიშვნის სისქე მშრალ მდგომარეობაში თითოეული ტიპის საღებავის მიხედვით: 1. ბრტყელი ტიპის („Flat“) საგზაო მონიშვნა - სისქე (მშრალ მდგომარეობაში) არანაკლებ 2 მმ-ისა 2. სტოქასტიკური ტიპის (Aglomerate Line) საგზაო მონიშვნა - სისქე (მშრალ მდგომარეობაში) არანაკლებ 2.5 მმ-ისა

დ.ბ.) მონიშვნის შუქდაბრუნების რეტრორეფლექციის მაჩვენებლები:

- ღამის ხილვადობისას მონიშვნის შუქდაბრუნების კოეფიციენტი (RL [mcd m-2 lx-1]):
- მშრალ ამინდში თეთრი და ყვითელი ფერის საღებავზე უნდა აკმაყოფილებდეს მინიმუმ R4 კლასს, DIN EN 1436 ან ГОСТ Р 51256-2018 სტანდარტების მიხედვით;
-

ე) ბრტყელი და სტოქასტიკური ხაზების ტიპის საგზაო მონიშვნა

სავალი ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნის პასპორტში მითითებული „1.1“, „1.3“, „1.5“ და „1.6“ ტიპის საგზაო მონიშვნა უნდა განხორციელდეს შესაბამისი ტექნიკური კომპლექტაციის მქონე ორკომპონენტიანი ცივი პლასტიკის თვითმავალი სპეციალური მანქანის მეშვეობით. დანარჩენი მონიშვნა, შეიძლება განხორციელდეს ხელით გადადგილებადი საგზაო მონიშვნის მანქანებით (მათ შორის ამ მანქანებზე მიერთებული ხელის ავტომატური გამაფრქვეველის სისტემით) ან ხელით.

3. **გამოყენებული მასალები:**

ა) საღებავი;

ბ) რეფლექციური შუშის გრანულები;

გ) გამამყარებელი;

დ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს საგზაო მონიშვნისთვის ყოველი კონკრეტული ტიპისთვის გამოსაყენებელი ორკომპონენტიანი ცივი პლასტიკის სისტემის (საღებავი, რეფლექციური შუშის გრანულები და გამამყარებელი) ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელშიც ასახული უნდა იყოს:

– სისტემაში შემავალი საღებავის, რეფლექციური შუშის გრანულების და გამამყარებლის ტექნიკური მახასიათებლები;

– სისტემაში შემავალი რეფლექციური შუშის გრანულების რაოდენობა 1მ 2-ზე;

– შუქარეკვლის კოეფიციენტი უნდა შეესაბამებოდეს „საგზაო მონიშვნის ტიპები და ძირითადი ტექნიკური მოთხოვნები“ პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს DIN EN 1436 ან ГОСТ 51256-2018 სტანდარტის მიხედვით;

ე) ყველა გამოყენებული მასალა უნდა იყოს მაღალხარისხიანი და აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ყველა სამშენებლო ნორმასა და სტანდარტს. ყველა მასალა, მოწყობილობა, საკომპლექტო ნაწილი, სამარაგო საგანი, მოწოდებული კონტრაქტის ფარგლებში, უნდა იყოს ახალი, უხმარი, სტანდარტული, მაღალი ხარისხის, საუკეთესო დონეზე დაპროექტებული და დამზადებული. უხარისხო ან დაბალი ხარისხის მასალები, მოწყობილობები და საკომპლექტო ნაწილები არ მიიღება და მათი გამოყენება არ იქნება ნებადართული;

შენიშვნა: სატენდერო დოკუმენტაციის იმ ნაწილში (ტექნიკური პირობები, ხარჯთაღრიცხვა, დანართი და სხვა) სადაც მოცემული იქნება შესასყიდი მასალებისა და მოწყობილობის სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი, იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.

4. **სამუშაოთა შესრულების წესი:**

სამუშაოების წარმოების პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ წესებსა და ნორმებს. სამუშაოების შესრულების პროცესში პრეტენდენტმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამცავი გამაფრთხილებელი თვალსაჩინოების და შუქნიშნების დაყენება. სამუშაოს დაწყებისთანავე წარმოდგენილი უნდა იქნეს სამუშაოს წარმოების ჟურნალი. შემსრულებელმა უნდა აწარმოოს ფარული სამუშაოების აქტები იმ სამუშაოებზე, რომლებზეც საჭიროა აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოება. შესრულებული სამუშაოთა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად მოქმედი სამშენებლო ნორმების შესაბამისად, სამუშაოების შესრულების დროს გამოყენებული მასალების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, ასევე საერთაშორისო სტანდარტებს (ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში). მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ. შემსრულებელმა უნდა აწარმოოს საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაცია. სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსყიდველს უნდა წარუდგინოს პროექტის შესრულების შესახებ საერთო ანგარიში (დასურათებული, ელექტრონული და ბეჭდური ფორმით). ასევე საჭიროების შემთხვევაში უნდა ჩაატაროს დასრულებული სამუშაოების ტესტირება. მშენებლობის დროს აუცილებელია СНиП-ებით ხელმძღვანელობა, შესრულება და დაცვა მათი მოთხოვნებისა შრომის დაცვასა და

უსაფრთხოების ტექნიკაში. მომუშავენი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და ასევე უნდა სრულდებოდეს საერთო კოლექტიური დაცვის ღონისძიებებიც. აუცილებელია უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის და ხანძარსაწინააღმდეგო მომქმედი წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დაცვა. სამუშაოების შესრულებისას, მიმწოდებელმა თითოეული სამუშაოსთვის უნდა უზრუნველყოს ისეთი უსაფრთხო და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი სამუშაო პირობები, რის შესაძლებლობასაც იძლევა საქმიანობის ხასიათი. ყველა სამუშაო უნდა შესრულდეს იმ ადგილობრივი და სახელმწიფო კანონების, კოდექსების, მოთხოვნებისა და დადგენილებების შესაბამისად, რომლებიც ეხება ადამიანთა უსაფრთხოებას, ჯანმრთელობის დაცვასა და კეთილდღეობას. შემსრულებელი კარგად უნდა იცნობდეს და უნდა ემორჩილებოდეს ყველა სამშენებლო წესს, რომელიც კანონითაა დადგენილი. შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაოთა უსაფრთხოებისათვის საჭირო ყველა წესისა და ინსტრუქციის შესრულება, რათა შეძლებისდაგვარად აიცილოს უბედური შემთხვევები და მინიმუმამდე დაიყვანოს თავისი მუშაკების და სხვა ადამიანთა ზარალი.

5. **სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა:**

მიმწოდებელი პასუხისმგებელია: – შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით; – უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა; – მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოებთან დაკავშირებული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა გარემოზე; – ყველა სახის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება შეთანხმებული უნდა იყოს შემსყიდველთან; – სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალებით და სახსრებით 5 დღის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ.

6. **დამატებითი მოთხოვნები:**

ბ) თითოეულ ობიექტზე (მისამართზე) სამუშაოები უნდა განხორციელდეს მას შემდეგ, რაც ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტი შემსყიდველის მხრიდან მიიღებს წერილობით შეტყობინებას სამუშაოების დაწყების თაობაზე, რომელშიც განსაზღვრული იქნება სამუშაოების დაწყების კონკრეტული თარიღი და სამუშაოების შესრულების კონკრეტული ვადა კონკრეტულ ქუჩაზე ან მონაკვეთზე;
გ) ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელს უნდა შეეძლოს სამუშაოების დაწყება ერთდროულად მინიმუმ ორ და მაქსიმუმ სამ ობიექტზე შემსყიდველის მხრიდან წერილობითი ან ზეპირი შეტყობინების მიღებიდან; შემსრულებელს საკუთარი სურვილის შესაბამისად შეუძლია სამუშაოების წარმოება ერთდროულად სამზე მეტ ობიექტზე (მისამართზე) ანუ დახაზვით სამუშაოებს დაქვემდებარებულ ობიექტებზე (მისამართებზე) სამუშაოების დაწყების მაქსიმუმის ციფრი შემსრულებელი ორგანიზაციის მხრიდან შეზღუდული არ არის.

7. **ექსპერტიზის დასკვნა შესრულებულ სამუშაოებზე:**

ა) ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი ვალდებულია სამუშოების (თითოეული ეტაპის დასრულების შემდგომ) საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს სსიპ - ლევან

სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა ყველა შესრულებული სამუშაოს შესაბამისობაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან (აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი).

ბ) ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი ვალდებულია სამუშოების (თითოეული ეტაპის დასრულების შემდგომ) საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს საგზაო მონიშვნის რეტრორეფლექტურობის (RL მაჩვენებლების) შესამოწმებელი დანადგარის გაზომვის მაჩვენებლები წარმოდგენა, (გაზომვის მაჩვენებლები დამოწმებული უნდა იყოს აღნიშნული სამუშაოს განმხორციებლის მიერ).

ხაგალი ნაწილების პოლიმერული მონიშვნის პასპორტი (ბარიათაშვილის ქუჩა)				
ხაგანი მონიშვნის ნიმუში	მონიშვნის ხასიათი	მოცულობა	ხაგინგ / მ	ძალაგნობა
1,1		66,95	446,30	0
1,3		115,56	770,41	0
1,3		87,72	584,77	0
1,5		14,40	383,88	0
1,6		28,83	256,31	0
1,7		0,95	12,70	0
1,12		16,00	40,01	0
1,13		0,90	0	6
1.14.1		336,00	0	210
1,15		0,00	0	0
1.16.1		0,00	0	0
1.16.2		0,00	0	0
1.16.3		0,00	0	0
1,17		12,00	0	4
1,18		19,35	0	14
1,18		22,37	0	10
1,18		8,95	0	4
1,18		6,00	0	4
1,18		0,00	0	0
1,23		12,83	0	6
		17,10	229,30	0
		0	0	0
		0	0	0
		5,18	0	6
ჯამი		771,09		

საგზაო ნაკეთილის ჰორიზონტალური მონიშვნის პასპორტი (გეოგეოლოგიის ქუჩა)				
საგზაო მონიშვნის ნიმუში	მონიშვნის სახე	მოცულობა	ხარჯვა / მ	ფასიანობა
1,1		125,69	837,95	0
1,3		0,00	0,00	0
1,3		427,05	2847,02	0
1,5		23,91	637,64	0
1,6		76,39	679,06	0
1,7		18,31	244,20	0
1,12		41,01	102,53	0
1,13		0,00	0	0
1.14.1		969,60	0	606
1,15		0,00	0	0
1.16.1		99,48	248,7	0
1.16.2		0,00	0	0
1.16.3		0,00	0	0
1,17		33,00	0	11
1,18		37,31	0	27
1,18		31,31	0	14
1,18		46,97	0	21
1,18		30,00	0	20
1,18		7,00	0	11
1,23		49,20	0	23
		51,57	687,68	0
		15,60	0	16
		12,38	0	15
		19,01	0	22
ჯამი		2114,80		

საგზაო ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნის პასპორტი (ჭოჭავების ქუჩა)

საგზაო მონიშვნის ნიშული	მონიშვნის სახე	მოცულობა	ხეგრძე / მ	ფასიდენობა
1,1		421,46	2809,75	0
1,3		17,07	113,80	0
1,3		373,97	2493,11	0
1,5		47,82	1275,09	0
1,6		204,93	1821,62	0
1,7		18,00	239,98	0
1,12		60,96	152,41	0
1,13		4,05	0	27
1.14.1		1278,40	0	799
1,15		39,36	0	246
1.16.1		217,61	544	0
1.16.2		3	7,6	0
1.16.3		2,4	6,22	0
1,17		36,00	0	12
1,18		53,90	0	39
1,18		60,40	0	27
1,18		44,74	0	20
1,18		13,50	0	9
1,18		7,50	0	5
1,23		36,36	0	17
		62,98	839,67	0
		0	0	0
		0	0	0
		19,01	0,00	22
სულ		3023,41		


STS
SMART
TRANSPORTATION
SOLUTIONS


STS
SMART
TRANSPORTATION
SOLUTIONS


STS
SMART
TRANSPORTATION
SOLUTIONS


STS
SMART
TRANSPORTATION
SOLUTIONS

SMART
TRANSPORTATION
SOLUTIONS


SMART
TRANSPORTATION
SOLUTIONS


STS
SMART
TRANSPORTATION
SOLUTIONS


STS
SMART
TRANSPORTATION
SOLUTIONS

BANK OF GEORGIA
BUSINESS

ხელშეკრულების შესრულების სანაცვლო გარანტია # PE46612-20

თბილისი

14 ივლისი 2020 წელი

გარანტი: სს საქართველოს ბანკი (შემდგომში „გარანტი")
გარანტის საიდენტიფიკაციო კოდი: 204378869
გარანტის მისამართი: გაგარინის ქ. #29ა, თბილისი, 0160, საქართველო
პრინციპალი: შპს მოლი დეველოპმენტი (შემდგომში „პრინციპალი")
პრინციპალის საიდენტიფიკაციო კოდი: 202461335
პრინციპალის მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ხელოვნების ქ. №8
ბენეფიციარი: აკაკი საქალაქო იმედსაცურაობისა და კეთილმოწყობის სამმართველო (შემდგომში „ბენეფიციარი")
ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო კოდი: 445532308
სგარანტიო თანხა: 31,085 (ოცდათერთმეტი ათას ოთხმოცდახუთი) ლარი
ტენდერის უნიკალური ნომერი: NAT200008133

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ პრინციპალმა ქ. ხაოლში ორკომპონენტიანი ეფექტის საღებავით პორიზონტალური საგზაო მონიშვნის სამუშაოების (ავტომანქანების სავალი ნაწილის დასაზეთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მიმავალი კორიდორის ჰაეროვან-ნარიალიანი-გორგილაძის ქუჩების გასწვრივ) და ერთეულობრივი ანრიცის საღებავის დეპარკირების (წაშლა) სამუშაოების შესრულების მიზნით წარდგენილი აუქციონის შესაბამისად ოცდარა ათასიანი ეროვნული ნარიცხაგების სანაცვლო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ, გარანტი, თანახმა ვართ გაგვცეთ პრინციპალის სახელზე აღნიშნული ეროვნული და გამოუთხოვადი სანაცვლო გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებელნი იქნებს წინამე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე, არაუმეტეს ჯამში 31,085 (ოცდათერთმეტი ათას ოთხმოცდახუთი) ლარი და ვკისრულობთ ზემოთ აღნიშნული თანხის, გადახდას პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველზე.

ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნა თანხის ანაზღაურებაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ბენეფიციარის მხრიდან აღნიშნულ დოკუმენტზე უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ფორმით, სადაც მითითებულ იქნება მოთხოვნილი თანხა ციფრებითაც და სიტყვიერად, სანაცვლო რეკვიზიტები და განმარტებული უნდა იყოს კონკრეტულად პრინციპალმა და ბენეფიციარის შორის გაფორმებული ხელშეკრულების რა პირობები იქნა დარღვეული პრინციპალის მხრიდან, დასტურითი მტკიცებულების წარმოდგენის საჭიროების გარეშე. მოთხოვნას თან უნდა ერთვოდეს მოთხოვნაზე ხელმოწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (სანაცვლო უფლებამოსილია არ. მოთხოვნის აღნიშნული სახეობა, თუ ხელმოწერი პირის უფლებამოსილების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია) და სანაცვლო გარანტიის ასლი.

წინამდებარე გარანტია ძალაშია პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების სანაცვლოდ დამოკიდებულებაშია. მაგრამ არაუგვიანეს: 30 დეკემბერი 2020 წელი. შესაბამისად წინამდებარე გარანტია მოქმედებს აღნიშნული თარიღის ჩათვლით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოთხოვნის ორიგინალი დოკუმენტი თანხის ანაზღაურებაზე, გარანტის მიერ მიღებულ უნდა იქნას გარანტის მოქმედების ვადის ჩათვლით სს "საქართველოს ბანკის" სათავო ოფისში, კანცელარიის სამსახურში, საკრებულის სტრუქტურული დაფინანსების დეპარტამენტის საყურადღებოდ, თბილისის დროით (UTC / GMT +04: 00 საათი) 17:00 საათის ჩათვლით. შემდეგ მისამართზე: გაგარინის ქ #29ა, თბილისი 0160, საქართველო.

სანაცვლო გარანტია ავტომატურად უქმდება/ამოიწურება ქვემოდენიშნული გარემოებებიდან ერთ-ერთის დადგომისთანავე:

- სანაცვლო გარანტიის ვადის გასვლით;
- გარანტის მიერ ბენეფიციარისათვის იმ თანხის გადახდით, რომელზეც გაცა სანაცვლო გარანტია;
- ბენეფიციარის მიერ გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობით უარის თქმით.

გარანტის მიმართ სანაცვლო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის კეთილი მოთხოვნის უფლების დადგენა/დათმობა სხვა პირისათვის დაუშვებელია გარანტის წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე სანაცვლო გარანტია რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

პატივისცემით,
თამარ ბოგვერაძე
აქტივთა ფინანსირების მენეჯერი

სს „საქართველოს ბანკი"
გაგარინის ქ. №29ა
თბილისი 0160, საქართველო

JSC Bank of Georgia
29a Gagarini Str.,
Tbilisi 0160, Georgia

documents@bog.ge | trade_finance@bog.ge | (0 32) 2 444 444